

# მესამე დასი და ბურჟუაზია

ამ ბოლო დროს ქართულმა ლიტერატურამ დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენს საეკონომიო მდგომარეობას. საკვირველიც არ არის: ქართველობა ნივთიერის სიმდიდრითა და შეძლებით იმოდენად უკან ჩამორჩა თავისს მეზობლებს, რომ საეკონომიო წარმატება საერთო მხურვალე სურვილად გარდაიქცა. ახლა ჩვენი ინტელიგენცია უმეტესად იმას ფიქრობს და ესწრაფვის, რომ ჩვენს საეკონომიო აღორძინებას ნამდვილი საშუალება და შემწეობა აღმოუჩინოს, სწორე და ფართო გზა უჩვენოს. თუ რა დიდად ფრთები შეისხა ამ საზოგადო აზრმა და წადილმა, ერთი ამბავიც ცხადად ამტკიცებს: უკვე მოგეხსენებათ, რომ ეგრედ წოდებული საეკონომიო მატერიალიზმი ჩვენც მოგვევლინა და ნეოფიტედ ამ მოძღვრებისა შეიქმნა მესამე დასი. ხოლო ამ დასის «მრწამსი» ღაღადებს, რომ ცხოვრების ქვაკუთხედი და მისი მთავარი ძარღვი საეკონომიო ფაქტორია და სხვა არაფერიო. საზოგადოდ კაცობრიობის და კერძოდ თვითეულ ერის ისტორიულს ცხოვრებაში ბრძანებლობს და ბატონობს მარტოდ-მარტო საეკონომიო ინტერესი და მისწრაფებაო. ქართველ ერის ცხოვრებაც ამ ყოვლად შემძლებელს საეკონომიო ფაქტორს ემორჩილებოდა და ყოველთვის ეგრე იქმნებაო...

საეკონომიო მატერიალიზმის შესახებ კარგიცა და ავიც ბევრი თქმულა და დაწერილა. ამიტომ ამ მოძღვრების ვრცლად განსჯა და განხილვა აქ მეტი უნდა იყოს. აღვნიშნავთ მხოლოდ—და ისიც მოკლედ,—რომ საეკონომიო მატერიალიზმი ცალ-კერძო, უკიდურესი და წრეს გადასული მოძღვრებაა. ყოველ ერის წარსული თუ აწმყო ცხოვრება წარმოადგენს ორგანებრივს არსებას და ამ არსებას სხვა-და-სხვა ფაქტორი ამოძრავებს, სხვა-და-სხვა ძალა ამოქმედებს. ცხო-

ვრება და სინამდვილე სრულიადაც არ გვიჩვენებს, ვითომ ხალხის ერთად-ერთი და უპირატესი ხელმძღვანებელი ძალა საეკონომიო ინტერესი იყვეს. აბა დააკვირდით ისტორიას. ბევრჯელ მომხდარა, რომ ერის სული და გული მარტო საპოლიტიკო უფლებას შეუპყრია და ცხოვრების პირველ ფაქტორად საპოლიტიკო ინტერესი შექმნილა. ზოგჯერ ესეთი ძალა და მნიშვნელობა მარტო სარწმუნოებას ჰქონია. ხანდახან კიდევ საპოლიტიკო და სარელიგიო ფაქტორი ერთსა და იმავე დროს გამოსულა ცხოვრების ასპარეზზე. ასრე იყო საქართველოში, მაგალითებრ, არაბთა ბატონობის დროს, როცა საპოლიტიკო დამოუკიდებლობა და სარწმუნოებრივი თავისუფლება აღფრთოვანებდა ქართველობას და საეკონომიო ფაქტორს კი მცირე მნიშვნელობა ჰქონდა. დიაღ, ერის ცხოვრება რთული მანქანაა და თვით ერიც რთული სხეულია და ამ მანქანისა და სხეულის მოძრაობა მარტო საეკონომიო ფაქტორის უპირატესობით არ განისაზღვრება. «არა ერთითა პურითა ცოცხალ არს კაცი» და, მართლაც, ზნეობრივად მკვდარი იქმნებოდა კაცობრიობა, უკეთუ თავისს პირველ მცნებად საეკონომიო მატერიალიზმს იწამებდა!..

39002

როგორც უნდა იყოს, ხოლო ნამდვილი კია, რომ საეკონომიო მატერიალიზმა ჩვენშიაც ბინა მოიპოვა, მოწაფენი შეიძინა. ეს დროთა და ჟამთა ნიშანია. ცხოვრებასა თუ ლიტერატურაში უმიზეზოდ ახალი მოძღვრება თუ მიმართულება არ ჩნდება და არ იბადება. ჩვენის ცხოვრების ჩარხი ამ ბოლო დროს ისრე დატრიალდა, რომ პირველ საზრუნველ და სადარდელ საგნად საეკონომიო ყოფა-ცხოვრება გაგვიხდა. მაშ რა საკვირველია, თუ ჩვენშიაც ფეხი მოიკიდა ისეთმა უკიდურესმა მოძღვრებამ, როგორიც საეკონომიო მატერიალიზმია. პირიქით, საჭიროებამ და «ჟამთა სიავემ» უნებურად გაუღო კარი ამ უცხოეთელს მოძღვრებას... მესამე დასის აღმოცენაც სრულიად დროს შესაფერ მოვლენად შეიქმნა. სამოც წლებიდან დაწყებული უკანასკნელ ხანამდე ქართული ლიტერატურა უმეტეს ნაწილად საეროვნო და სალიბერალო მოძღვრებას ემსახურებოდა. ამ ლიტერატურამ თავისი ძალა და ღონე თითქმის მხოლოდ მამულიშვილობის და საკაცობრიო აზრების ქადაგებას შეალია. ყოველივე ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ სავალალო და სანანული ის გახდა,

რომ ლიტერატურამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია საეკონომიო ცხოვრებას და იმ თავითვე აბუჩად დაიჭირა ეგრეთ წოდებული ჩვენებური «კულტუროსანი» ბურჟუაზია. ამ ბურჟუაზიას ყბად თუ იღებდნენ კამედიებსა და ვოდევილებში, თორემ სხვა ყურადღებას არ აქცევდნენ. ჩვენის დაუდევრობით და ლიტერატურის მეთაურების წყალობით მშვენიერი დარი და ამინდი დაუდგა ბურჟუაზიას და მეტიც არაფერი უნდოდა. მაგრამ, როცა ეს გალაღებული და გაკადნიერებული ბურჟუაზია, ვითარცა ზღაპრული სფინქსი, წინ გამოგვეჭიმა და ჩასაყლაპად პირი დააღო, მაშინ მოგვაგონდა, რომ მარტო მამულიშვილობისა და ჰუმანობის ღაღადისი საკმარისი არა ყოფილა. და თუ ახლა პირველ საჭირ-ბოროტო საგნად საეკონომიო ცხოვრება შეიქმნა, ეს აწინდელ დროის ვითარების ბრალია და არა იმისი, ვითომ ყველგან და ყოველთვის საეკონომიო ფაქტორს უპირატესობა ეპყრას. მესამე დასმა ცხოვრების საჭიროების ალღო აიღო და მარჯვედაც მოიქცა, რომ საეკონომიო მატერიალიზმის დროშა აღმართა. ეს დროშა ახალს მიმართულებას და მიმდინარეობას მოასწავებს და სწორედ დროც არის, რომ ჩვენმა ლიტერატურამ უპირატესი ყურადღება საეკონომიო ცხოვრების აღორძინებას მიაქციოს.

ერის ორგანებრივი ზრდა, შეძლებისამებრ, მწყობრად უნდა მიმდინარეობდეს, ჰარმონიულად უნდა მოძრაობდეს. ეს ორგანებრივი ზრდა უნდა შეიცავდეს ერის მრთელს და სრულს ბუნებას — სულიერსა და ხორციელს. როცა ერთი ნაწილი ამ ბუნებისა, მეორესთან შედარებით, ზრდასა და წარმატებას მოკლებულია, მაშინ ხალხის ცხოვრებაც მრუდე და სახიფათო გზას ადგია. რასაკვირველია, კაცობრიობა უფრო მეტს ფასს სდებს გონებითსა და ზნეობითს პროგრესს, მაგრამ საეკონომიო პროგრესიც არა ნაკლებ სანატრელია. მეტადრე აწინდელ დროს ისრე საფრთხილებელი და საფიქრებელი არაფერია, როგორც ერის საეკონომიო უძლურება და განუვითარებლობა. ჩვენი დრო უმეტეს ნაწილად საეკონომიო ბრძოლისა და ცილაობის დროა. თვით განათლებული ევროპა, რომელიც ხმა-მაღლა ძმობას და ერთობას ქადაგებს, ულმობელად იბრძვის საეკონომიო სარბიელზე და არც ერთს ღონისძიებას არ უფრთხის, არც ერთს ხერხს არ თაკილობს, ოღონდ კი ეკონომიურად სხვანი დაიმორჩი-

ლის. ხოლო საეკონომიო მონობა და უმობა დიდი და ძნელი ტვირთია. თვითეული პატარა ერი შიშით შეჰყურებს აწინდელს საეკონომიო თარეშობას და უკიდურესს მამონის თაყვანის მცემლობას და ცდილობს, თითონაც საეკონომიო პროგრესს დაადგეს და სხვის ბატონობა თავიდან აიცილოს. საეკონომიო მონობა და უმობა საქართველოსაც არ ასცდება, თუ ახლავე თავისს მდგომარეობას არ დაუკვირდა და სათანადო ძალა და ღონე საეკონომიო წარმატებას არ მოახმარა. ჩვენი ქვეყანა მეტად სახარბიელო ლუკმაა და ბევრსაც თვალი უჭირავს ამ ლუკმისაკენ. სხვებს ვინდა სჩივის, როცა მადა გახსნილი მეზობელიც კი ამ ლუკმას შეჰყურებს და მუდამ ჟამს ცდილობს, როგორმე იგი პირში იგდოს... ღვთით, საქმე აქამდე არ მივა. საქართველოს ჯერ კიდევ იმოდენი საეროვნო — გონებითი თუ ზნეობითი — ძალა მოეპოვება, რომ მაგრე ადვილად სხვა თავისს ლუკმად ვერ გაიხდის. ხოლო საჭირო კია, რომ ჩვენს საეკონომიო ზრდას უმთავრესი ყურადღება მიექცეს და დამყარდეს მწყობრივი პროგრესიული საეროვნო ცხოვრება. ჩვენებურის საეკონომიო მატერიალიზმის პრაქტიკული მნიშვნელობაც სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ამ მოძღვრებამ დაგვანახვა, თუ რა ცალ-მხრივად მიდიოდა ქართველობის საეროვნო ზრდა და რა მიუცილებლად საჭიროა საეკონომიო აღორძინება...

უკვე აღვნიშნეთ საეკონომიო მატერიალიზმის უკიდურესობა. მაგრამ ეს უკიდურესობა კიდევ არაფერი. საყურადღებო ის უფროა, რომ მესამე დასელებმა საეკონომიო მატერიალიზმის დოგმატნი თითონაც გარკვევით ვერ შეიგნეს და ლიტერატურაშიაც ურიგოდ და შეუსაბამად გადმონერგეს. საეკონომიო მატერიალიზმი ევროპიელ ნიადაგზე არის აღმოცენილი, იქაურის ცხოვრების სინტეზია. ამიტომ ამ მოძღვრებას საყოველთაო და უნივერსალი მნიშვნელობა როდი აქვს. მარქსმა თავისი თეორია უმეტესად ინგლისის ცხოვრებაზე დაამყარა. ხოლო ევროპისა და კერძოდ ინგლისის საეკონომიო პროგრესი ბუნებრივი და აუცილებელი კანონი როდია ყველა ხალხისათვის. დიდი ხანია, რაც პოლიტიკურს ეკონომიაში დაარსდა საეროვნო მიმართულება, რომელსაც ასეთი დიდი ღვაწლი დასდო სახელოვანმა ფრიდრიხ ლისტმა. ამ მიმართულებას ახლაც ძალა არ დაუკარ-

გვს. მთავარი აზრი სანაციონალო ეკონომიისა ისაა, რომ ერის ვინაობას, თვითებას, პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს საეკონომიო სფერაში და საეკონომიო პროგრესის მოძრაობა და თვისება დაფუძნებულია ამა თუ იმ ხალხის განსაკუთრებულ ცხოვრებაზე. მესამე დასმა ჩვენს მდგომარეობას, ჩვენს წარსულს და აწმყოს ყურადღება არ მიაქცია და გაზეპირებული ფორმულები ცხოვრებას ზედ დააკერა, თითქო ეს ფორმულები ჩვენს ცხოვრებაზე გამოჭრილნი იყვნენ... აი მაგალითიც: საეკონომიო მატერიალიზმის და მისის მამათ-მთავრის მარქსის სიტყვით, ეგრედ წოდებული კაპიტალისტური ხანა პროგრესის ერთი საფეხურთაგანია და თუ, ამ ხანის განმავლობაში, ბურჟუაზია ბატონობს, ეს ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენაა. ამ ფორმულის მიხედვით, მესამე დასელებმა ჩვენებურის ბურჟუაზიის ნავარდობაც პროგრესიულ მოვლენად აღიარეს: კაპიტალისტური ხანა დადგა და თუ ბურჟუაზია მეფობს, ეს ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენააო, თუ ქართველი თავადაზნაურობა იღუპება და სომხის ბურჟუაზია ძლევით იმოსება, ეს საეკონომიო ზრდისა და წარმატების ნიშანია და რაც ადრე და მალე შეიმუსრება ფეოდალობა, უფრო სანატრელიაო... მესამე დასი სიამოვნებით შესცქერის ამ ტრაგიულს ბრძოლას და ბურჟუაზიული რუსულ-სომხური გაზეთობა ხომ ბუკსა და ნაღარას უკრავს. მაგრამ ყოველივე ეს მართალი კია?

საქართველოს აწინდელი საეკონომიო მდგომარეობა სრულებითაც არ წარმოადგენს კაპიტალისტურს ხანას. ესეთი ხანა არსდება მაშინ, როცა ხალხის საეკონომიო ცხოვრება და წეს-წყობილება იცვლება, ძველებური ბუნებრივი წარმოება ისპობა. კაპიტალისტურის ხანის არსებითი თვისება ვაჭრობისა და საქარხნო მრეწველობის აღორძინებაა, მისი ნიშნობლივი იარაღი—დიდი თანხაა, კაპიტალია. მრეწველობაც და კაპიტალიც ბურჟუაზიის საკუთრებაა, ბატონიცა და პატრონიც იგია წარმოებისა და თანხისა. ხოლო ბურჟუაზიას გვერდით უდგია მუშა ხალხი, რომელიც მარტო შრომის წარმომადგენელია და სხვა არაფერი. მოგეხსენებათ, თუ რა შუღლი და ბრძოლა სუფევს ევროპაში ბურჟუასა და მუშას შორის. ამის მიზეზი ისაა, რომ თითქმის მთელი მოგება პირველს მიაქვს, მეორეს კი ლუკმა პურის

ფასი ძლივსღა რჩება. არაფერი ამის მსგავსი მოვლენა ჩვენში არ მოიპოვება. ჩვენი საეკონომიო ცხოვრება სხვა გზას ადგას, სხვა ხასიათისა და მიმართულებისაა. ამ ცხოვრებაში ჯერ ისევ ბუნებრივი წარმოება ბატონობს და ახლაც უპირატეს ფაქტორს მიწათ-მოქმედობა წარმოადგენს. საქარხნო მრეწველობა თითქმის არ არსებობს და თუ აქა-იქ ახლა ასეთი მრეწველობა ისახება, იბადება; ეს კიდევ კაპიტალისტურს ხანას არ მოასწავებს. ჩვენი ისტორია მოწმობს, რომ ძველად და დროის შესაფერად საქართველოსაც მოეპოვებოდა სხვა-და-სხვა დარგი მრეწველობისა, მაგრამ საეკონომიო თვითება საპოლიტიკო დამოუკიდებლობასთან ერთად მოისპო და რუსეთის ქარხანამ სრულიად გაანადგურა ჩვენი მრეწველობა. რაიცა შეეხება ჩვენებურს ბურჟუაზიას, იგი ევროპიულს ხომ არაფრით არ მიაგავს. ეს თავისებური ბურჟუაზია თითონ არაფერს არ აწარმოებს, არაფერს არ ჰქმნის. წარმოებისა და შემოქმედობის მადლი მეუფეს მისთვის თითქო არც მიუნიჭებია. იგი მხოლოდ შუამავალია მხმარებელსა და მწარმოებელს შორის, იგი მარტო სხვის ნაღვაწისა და ნაშრომის მზიდველია რუსეთიდან. და ხვალ რომ საბაჟო ზღუდე აღიმართოს საქართველოსა და რუსეთს შორის, ჩვენი ბურჟუაზია მშრალზე დარჩება და უსაქმობისაგან ხელების ფშვნეტას თუ დაიწყებს. თითო-ოროლა ევროპიელ ფორმის ქარხანა და ისიც უმეცრულად მოწყობილი ჯერ კიდევ კაპიტალისტურს ხანას არ შეადგენს.

ევროპაში კაპიტალისტური წარმოება დამყარებულია დიდს თანხაზე, დიდს ფულზე. ეს თანხა და ფული ბურჟუაზიის ბურჯსა და საძირკველს შეადგენს. მთელი იქაური სარბიელი საეკონომიო პროგრესი ამ ბურჯსა და საძირკველზე ტრიალებს. ჩვენებურის ბურჟუაზიის უმრავლესობას არა თუ დიდი თანხა, საკმაოც კი არ მოეპოვება. და თუ ეს ბურჟუაზია ჰარბაშობს და ნავარდობს, ამის მიზეზი ისაა, რომ სხვაგან აქვს ნდობა და კრედიტი. მოაკლდით ამ ბურჟუაზიას რუსეთის მექარხნეების და მოვაჭრეების ნდობა და კრედიტი და ხვალვე სული ამოხდება. სხვათა შორის, თანხისა და ფულის უქონლობისაგან წარმოსდგება, რომ ჩვენში შინაური მრეწველობა ჯერ ფეხს ვერ იდგამს. თუ წარმატების ნიშან-წყალი აქტუალი ჩვენში რასმე, ისევ ვაჭრობას, რომელიც მხოლოდ

კრედიტით ცოცხლობს. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენებურს ბურჟუას საეროვნო თვისებაც ხელს არ უწყობს სამრეწველო მოქმედებისათვის. გვეცოდინებათ, რომ ესეთის მოქმედობისათვის საჭიროა სპეციალი განათლება, გამჭრიახობა, შემოქმედებითი ნიჭი, თაოსნობა, ხოლო ყოველივე ეს და ბევრი სხვა საჭირო თვისება აკლია ჩვენებურს ბურჟუას, რომლის ერთად-ერთს სიკეთეს და უნარს ვაჭრობის ხელობა შეადგენს. და საქართველოში რომ კაპიტალისტური ხანა არ არსებობს, დასასრულ მტკიცდება იმითაც, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება საქარხნო და სამრეწველო მუშა ხალხი, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი წოდება, რაზმი. მაშასადამე, ჩვენებური ბურჟუაზია კაპიტლისტურის ხანის კანონიერი შვილი როდია და არც ამ ბურჟუაზიის ბატონობა მოასწავებს საეკონომიო პროგრესს. რასა კვირველია, არც ქართველ თავად-აზნაურობის სისუსტე და ნივთიერი დაძაბუნება წარმოსდგება საეკონომიო ევოლიუციისაგან, კაპიტალისტურის გამეფებისაგან. ჩვენის თავად-აზნაურობის გაღარიბების საძირკველი ამ საუკ.დასაწყისში უძევს, როცა შინაური ყოფა-ცხოვრება სრულიად შეიცვალა.*) მერე ბატონ-ყმობის მოსპობამ ხომ უფრო ძლიერ შეარყია თავად-აზნაურობის ნივთიერი კეთილ-დღეობა. ბურჟუაზია და მისი პროგრესიული მოციქულობა აქ არაფერ შუაში ყოფილა. მაგრამ, როგორც უკვე შევნიშნეთ, მესამე დასი სხვაფრივ ფიქრობს და ჩვენებურის ბურჟუაზიის თარეშობას პროგრესიულ მოვლენად ჰხადის. იგი ბურჟუაზია მხოლოდ ფეოდოლობას ებრძვის და ანადგურებს და ევროპაშიაც ხომ ეგრე მოხდაო...

დიაღ, მესამე დასმა მხოლოდ მარქსის მოძღვრების ფორმულები გაიზეპირა და ამ ფორმულების მიხედვით განსჯო ჩვენის ერის აწინდელი საეკონომიო ურთიერთობა. ამიტომაც ამ დასს ის მოეჩვენა, რაც ცხოვრებაში სრულიად არ არსებობდა და აი ერთი ნიმუშიც იმისი, თუ რა სიყალბემდე მივიდა მესამე დასი მარქსის

*) ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას 1864 წ. პირველ ივნისამდე პრიკაზში დაგირავებული ჰყავდა 30,714 სული ყმა, კაცი და ქალი. ეს ყმები დაფასებულნი იყვნენ 2,042,100 მანათად. თავად-აზნაურობას პრიკაზის ვალი ემართა 1,810,840 მანათი. მთელს გუბერნიაში ითვლებოდა 16,409 კომლი ყმა. პრიკაზში იყო დაგირავებული 1864 წელს 4,848 კომლი ყმა, მეოთხედ ნაწილზედ ცოტა მეტი, Сборникъ статистическихъ свѣдѣній о Кавказѣ, т. I, стр. 36—40.

ფორმულებისადმი სიყვარულის და თაყვანის ცემის მოხსენებით: „საქართველოში ერთ და იმავე დროს ვითარდება ორგვარი კლასიური განხეთქილება: წინააღმდეგობა ბურჟუას და თავად-აზნაურობას შორის და წინააღმდეგობა თვითონ ბურჟუას და მუშა ხალხს შორის. პირველ შემთხვევაში რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენს ბურჟუაზია, მეორე შემთხვევაში მუშა ხალხი. პირველი მიზნის მისაღწევათ ბურჟუაზიას ეხმარება მთელი ხალხი, ვინაიდან მთელი ერის ინტერესია განთავისუფლდეს მობერებული წყობილებიდან. აქ ბურჟუაზიის ლტოლვილება ხალხის ლტოლვილებაა, მეორე შემთხვევაში მოკავშირენი—ხალხი და ბურჟუაზია—ნაწილდებიან ორათ, რომელთა შორის ტყდება სასტიკი და უკანასკნელი ბრძოლა. ამ ბურჟუაზიის ლტოლვილება აღარ არის ხალხის ლტოლვილება. მათ შორის ღრმა ორმოა. თუ პირველი ძლიერდება ფულით, შეძლებით და მით ბურჟუაზულ განათლებით, მეორე უნდა გაძლიერდეს ერთობით, თანხმობით და მუშური შეგნებით. აქ საძირკველი შრომაა, იქ კაპიტალი“ *). გამოდის, რომ ჩვენი საეკონომიო ურთიერთობა ნამდვილად ისეთივეა, როგორიც ევროპაში და როცა ზემოდ მოყვანილს ნაწყვეტს ჰკითხულობთ, ასრე გგონიათ, საქართველო საფრანგეთი ანუ გერმანია იყვეს... მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამოწერილი სურათი ვითომდა ჩვენის საეკონომიო ურთიერთობისა თავიდან ბოლომდე ყალბად შეთხზულია და სინამდვილეს მოკლებული.

თუ ისტორიულად განვიხილავთ, ჩვენებურსა და ევროპიელ ბურჟუაზიის შორის საერთოს ვერას ვიპოვნით. ყველამ უწყის, რომ ევროპიელ ბურჟუაზიის ისტორია დიად ბრწყინვალე და დიდებულია. საეკონომიო სარბიელზედაც ამ ბურჟუაზიას დიდი ღვაწლი მიუძღვის. აწინდელი საოცარი მრეწველობა და აღებ-მიცემობა მან შექმნა და ახლაც იგი სდგას საეკონომიო პროგრესის სათავეში. მაგრამ ბურჟუაზიამ საპოლიტიკო ასპარეზზედაც დიდი სიმხნე და ენერგია გამოიჩინა. ძველის სახელმწიფო წეს-წყობილების მოსპობა

*) იხ. „კვალი“, 1896 წ. № 18, ბ-ნ ნ. ჟორდანიას წერილი «მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება».

და საპოლიტიკო თავისუფლების დამყარება მან მოახდინა. ფეოდალობა და არისტოკრატია ამ ბურჟუაზიამ შემუსრა. ერთის სიტყვით, საეკონომიო და საპოლიტიკო მოედანზე მედროშედ და ბაირახტრად ბურჟუა შეიქმნა. ახლაც დროშა და ბაირახი მას უჭირავს. ეს ძლევამოსილობა და მეთაურობა ბურჟუაზიის გონებითსა და ზნეობით ძალაზე დამყარდა, მის პირადს ენერგიასა და გამჭრიახობაზე დაფუძნდა. აწინდელი განათლება, პროგრესი მთლად ბურჟუაზიის ხელთა ქმნილებაა. მართალია, ამ ბოლო დროს მას მძლავრი მოქიშპე გამოუჩნდა, მაგრამ აწმყო მაინც ბურჟუას ეკუთვნის და მის ბატონობასაც დიად საკმაო საბუთი მოეპოვება. ჩვენებურს ბურჟუაზიას?

თუ მართალი გნებავთ, ევროპიელ ტიპის ბურჟუაზია საქართველოში სრულიადაც არ არსებობდა. მოგეხსენებათ, რომ ევროპაში ბურჟუაზია ქალაქმა შექმნა. ჩვენი წარსული ცხოვრება კი ქალაქს არ ეწყობოდა და განსაკუთრებით სოფელში მიმდინარეობდა, იქ სდუღდა და გადმოდიოდა. საქართველოს თავისებურს ბურჟუაზიას შეადგენდნენ ვაჭარნი, რომელნიც ოთხ წოდებად განიყოფებოდნენ, სხვა მოდგმის ერს ეკუთვნოდნენ და ქალაქად სცხოვრობდნენ. რაიცა შეეხება მრეწველობას და ხელოსნობას, იგი უფრო გლეხობაში იყო მოფენილი და სოფლად სწარმოებდა. ზოგან ახლაც ასეა. ამიტომ ჩვენებური ბურჟუა — თუ კი ეს სახელი აქ გამოდგება — მარტო ვაჭრობდა, მარტო აღებ-მიცემობდა. მრეწველობა და სხვადა-სხვა წარმოება იმას არც შეეძლო და არც დავთარში ეწერა. ფეოდალი, რომელიც თავისს ციხე-კოშკში იმყოფებოდა, იმას ცდილობდა, რომ ყველა საჭირო საგანი გლეხსა და ყმას მოემზადა და ამიტომ ხელს უწყობდა მრეწველობისა და წარმოებმის აღორძინებას სოფლად. გუჯრებსა და სიგელებში არა ერთი და ორი მაგალითია ამის დამამტკიცებელი. დიად, მრეწველობა და წარმოება ისტორიულმა ბედმა ჩვენებურს ბურჟუაზიას წილად არ არგუნა და იქნება აქაც იყვეს მიზეზი, რომ ახლაც იმას არ მოეპოვება შნო და უნარი არც ერთისა და არც მეორისა. იმ თავითვე ჩვენებური ბურჟუა ვაჭარი იყო და ახლა თუ იმის ცხოვრებაში ევოლიუცია მოხდა, ეს ევოლიუცია ისაა, რომ ვაჭარი ჩარჩად გარდაიქცა:

საკომერციო გაუნათლებლობამ და უმეცრებამ ძველის დროის დიდებული ვაჭარი ძირს დასწია და წვრილფეხა ჩარჩად დასტოვა... რასაკვირველია, ამის შემდეგ ფუჭი და ამაო უნდა იყვეს ჩვენებურის ბურჟუაზიის საეკონომიო პროგრესიულს მოღვაწეობაზე ბაასი. იმას პროგრესიული იდეალი არასოდეს არა ჰქონია და საყოველთაო სიკეთისათვის ზრუნვისაგან თავისუფალი ყოფილა. იგი თავისს ქარვასლის გარედ არაფერს ხედავდა. ეგრეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ჩვენებური ბურჟუაზია მკვიდრთა თესლისა არ იყო.

ახლა ამ ბურჟუაზიას უკიჟინებენ,—განცალკევებულს, «კადალურს» წყობას წარმოადგენო. მაგრამ საკიჟინებელი რა არის, როცა თვით ისტორიამ ეს განცალკევება და «კადალობა» წესად დაუწერა ჩვენებურს კულტუროსანს ბურჟუაზიას. საქართველოს ბურჟუაზია უცხოეთიდან გადმოსახლებულს რაზმს შეადგენდა და ეს რაზმი ისევ იმ უცხოეთიდან ახლდებოდა, მრავლდებოდა, იქიდან მატულობდა. გვეცოდინებათ, ჩვენი მეფეები რანაირად ხელს უწყობდნენ ვაჭრების გადმოსახლებას. მაგრამ სავალალო ის იყო, რომ გადმოსახლებულებს ჩვენი ქვეყანა მარტო აღებ-მიცემობის ასპარეზად მიაჩნდათ და, ადლისა და საწყობის გარდა, იმათ ამ ქვეყანასთან არა აკავშირებდა-რა. მაშ «კადალობა», ცალკედ გასვლა ჩვეულებად და თვისებად რად არ გარდაიქცეოდა, როცა ჩვენებური ბურჟუაზია საქართველოს სხეულის მეჭეჭსა და ხორც-მეტს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე იმის ბუნებრივს ასოს, ორგანებრივს ნაწილს. ახლაც ხომ ეგრეა. რაიცა შეეხება ჩვენებურის ბურჟუაზიის საპოლიტიკო მოღვაწეობას და ფეოდალობასთან ბრძოლას, ამ საგნის გამო სრულიად არა ითქმის-რა. ასეთს მოღვაწეობას და ბრძოლას სრულიად ალაგიც არ ჰქონია ჩვენს ისტორიაში. ფეოდალობას ებრძოდა მარტო სახელმწიფო ტახტი და ბურჟუაზია გულხელ დაკრეფილი შეჰყურებდა ამ ბრძოლას. რაც კი საკეთილო და სახეირო გაკეთებულა საპოლიტიკო ცხოვრებაში, ამის მიზეზი სახელმწიფო ტახტი ყოფილა და სხვა არავინ.

ჩვენებურს ბურჟუაზიას არც დანარჩენს სფერაში გამოუჩენია გონებითი და ზნეობითი ძალა. თუ განათლება და კულტურა, დროს შესაფერად, აღორძინდა, ეს მთლად თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდების საქმე იყო... არ ვიცით, მესამე დასი რა აზრისაა ჩვენე-

ბურის ბურჟუაზიის წარსულ კულტურულს მოღვაწეობაზე, ხოლო ეს დასი აწინდელს ჩვენს «ცივილიზაციასა» და «კულტურულს ზრდაში» არა ვითარსამე ნაწილს არ უდებს ბურჟუაზიას და პირდაპირ ამბობს — „ქართველი ბურჟუას ფულის წყარო ქართველი მუშაა. რამდენად ეს თავის ძალ-ღონისგან იცლება, იმდენად ის მდიდრდება და სქელდება. მართალია, ის ცვლის ცხოვრებას, მარა ეს ხდება მუშის შემწეობით, მუშის ნაშრომით და მონაგარით, მუშის ოფლით და ძალ-ღონით. მთელი დღევანდელი ცივილიზაცია მუშათა მეოხებით შეიქმნა, ხოლო სარგებლობა ბურჟუაზიას ერგო. საქართველოს წარმატება, გაერთიანება, უცხო ტომთა დამარცხება, კულტურული ზრდა წარმოებს ქართველის მუშის ზურგით, ხოლო სახრავი და სახელი მის ბატონ ბურჟუას რჩება“ («კვალი», იქვე). რასაკვირველია, ქართველ მუშა ხალხს აწინდელი ჩვენი ცივილიზაცია და კულტურა არ შეუქმნია, მაგრამ აქ საქმე ისაა, რომ მესამე დასის სიტყვით ჩვენს ბურჟუაზიას სრულიად არა უმოქმედნია-რა ცივილიზაციის და კულტურის სარბიელზე...

ერთი სიტყვით, რომელ მხრითაც უნდა განიხილოთ, ჩვენებურსა და ევროპიელ ბურჟუაზიის შორის საერთოს ვერაფერს ჰნახავთ. მესამე დასმა კი მარქსის მოძღვრების თვალით და საეკონომიო ევოლიუციის ალაბით გასინჯა ჩვენებური ბურჟუაზია და მისი ჩარჩული ნავარდობა კანონიერ ძლევა-მოსილებად და პროგრესიულ მოვლენად აღიარა.. მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

ჩვენებური, სომხური ბურჟუაზია მხოლოდ ფეოდალობას, თავად-აზნაურობას ებრძვის და იგი ბრძოლა ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენაარ... ასე ბჭობს მესამე დასი აი თუნდა „Новое Обозрѣніе“-ს პირით და იმედოვნებს კიდეც, რომ ქართული ბურჟუაზია იბადება და იგი ოდესმე გაემკლავება სომხურსაო.*) მომავლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მესამე დასს მარტო მარქსის მოძღვრების ფორმულა რომ გაუზეპირებია და ჩვენს ცხოვრებაზე ძალად მიუკერებია, ეს კი ცხადია. ჩვენებურის ბურჟუაზიის და ქართულ ფეო-

---

*) „Нов. Обоз.“ № 4790, ბ-ნ ლალის წერილი.

დალობის ურთიერთობა ევროპიელ ფორმისა როდია. ძველად ჩვენს ფეოდალსა და ბურჟუას საშუღლო და საცილო არა ჰქონიათ-რა. მთელს ისტორიაში ერთი მაგალითიც არ მოიპოვება, ვითომ ფეოდალი და ბურჟუა ერთმანეთს ებრძოდნენ. აწინდელ დროსაც ეგეთი ბრძოლა არ არსებობს. ჯერ ერთი, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა, განახლებული სოციალურად და იურიდიულად, ფეოდალობას აღარ წარმოადგენს. მეორედ კიდევ, ჩვენებური ბურჟუაზია, როგორც უკვე განვმარტეთ, კაპიტალისტურის დროის წარმომადგენელი როდია, ხაეკონომიო პროგრესის მემკვიდრეს როდი შეადგენს, რომ ძველებურს საეკონომიო წეს-წყობილებას ებრძოლოს. მართლაც-და, აბა დააკვირდით სინამდვილეს, თუ ჩვენებური ბურჟუაზია მთელს ქართველობაში არ თარეშობდეს. იმისთვის სულ ერთია — თავადი თუ გლეხი, დიდი თუ პატარა... და უკეთუ რუსულ-სომხურმა ბურჟუაზიულ მწერლობამ გამოაჭორა, ვითომ ჩვენში მარტო წოდებრივი საეკონომიო ბრძოლა არსებობსო, კაპიტალი ფეოდალობას ებრძვის და დემოკრატია რა შუაშიაო — ეს სალიბერალო «საკენკი» იყო და სხვა არაფერი. სამწუხაროდ, ზოგი კიდეც მიიტყუა ამ «საკენკმა» და ბურჟუაზიულს გაზეთებსაც ხომ მეტი არა უნდოდათ-რა!..

და რომ ჩვენი აზრი არსებულ ბრძოლის შესახებ სწორე და ნამდვილია, ამას ერთი გარემოებაც ამტკიცებს. ძველ დროს ჩვენებური ბურჟუაზია მარტო საეკონომიო წყობას შეადგენდა და საეროვნო მისწრაფებას მოშორებული იყო. ახლა ამ წყობამ ხასიათი იცვალა, იგი საეროვნო დასადაც გარდაიქცა. საეროვნო თვითცნობიერების აღორძინებამ აღაფრთოვანა სომხური ბურჟუაზია და სხვა წადილი, სხვა იდეალი განუძლიერა, განუმტკიცა. ახლა ეს ბურჟუაზია ფულისა და სიმდიდრის შეძენას აღარ სჯერდება, — იგი სხვის მიწა-წყალსაც, სხვის სამშობლოსაც მუშტრის თვალით ხელს აწვდენს. აი სწორედ ამ მხრივ დაეტყო ევოლიუცია ჩვენებურს ბურჟუაზიას: საეკონომიო ძალასთან საეროვნოც მოიხვეჭა და «ასკასერობის» სარბიელად თავისის მეზობლის ისტორიული საკუთრება აღიარა. არა ერთი და ორი მაგალითი მოიპოვება, რომ ჩვენებური ბურჟუაზია, ამ მისწრაფების შესასრულებლად, თვით საარქეოლოგიო საბუთების სიყალბესაც კი არ უფრთხის. შეიძლება, ყოველივე ეს და სხვა ამის მსგავსი

ამბავი ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენა იყოს, მაგრამ ბურჟუაზიის ასეთი მიმართულება ცხადად ამტკიცებს, რომ იგი მარტო ჩვენს ფეოდალობას, თავად-აზნაურობას კი არა, მთელს ჩვენს ეროვნებას, მთელს ქართველობას ებრძვის...

ნ. ურბნელი

აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი

301.19
y 573